



## სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა

### კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი

<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება</b>
საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია/International Relations and Diplomacy
<b>უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური</b>
ბაკალავრიატი
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი/Bachelor of International Relations
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>
გელა ცაავა, ასოცირებული პროფესორი გიზო ჭელიძე, ასოცირებული პროფესორი
დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის, მათ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.
<b>პროგრამის მოცულობა</b>
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი კვალიფიკაციის მისაღებად.
პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი. წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია შემდეგი პრინციპით - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს.
<b><u>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (130 ECTS)</u></b>

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 130 კრედიტს.

### **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი (40 ECTS)**

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტში გათვალისწინებული 126 კრედიტიდან სტუდენტი აგროვებს 40 კრედიტს.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი მოიცავს როგორც სასწავლო კურსებს, ისე საბაკალავრო ნაშრომს 6 კრედიტად და პრაქტიკას 6 კრედიტად.

### **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (18 ECTS)**

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების საფუძველზე პროგრამის სტუდენტი იღებს ტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით იყენებს ძირითადი სწავლის სფეროში შემავალი სასწავლო კურსების ათვისებისას. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები სტუდენტს გამოუმუშავებს აკადემიური კეთილსინდისიერების, წერითი და ზეპირი კომუნიკაციების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარებს, ასევე შეასწავლის მიკრო და მაკროეკონომიკის პრინციპებს. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 18 კრედიტს.

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებში შედის ასევე ინგლისური ენის და მეორე უცხოური ენის სასწავლო კურსები.

### **სავალდებულო უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი (30 ECTS)**

ინგლისური ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.

ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 30 კრედიტის მოცულობით, 6 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ამასთან, ბოლო სასწავლო სემესტრების განმავლობაში სტუდენტი შეისწავლის პროფესიულ ინგლისურ ენას.

### **მეორე უცხოური (გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური, თურქული) ენის კომპონენტი (16 ECTS)**

მეორე უცხოური (გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური, თურქული) ენის კომპონენტი ორიენტირებულია მითითებულ ერთ-ერთ უცხოურ ენაზე ეფექტური კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე.

სტუდენტი შეთავაზებული უცხოური ენიდან ირჩევს ერთ-ერთ ენას და აგროვებს 16 კრედიტს.

### **თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (6 ECTS)**

პროგრამაში შემავალი თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების საფუძველზე პროგრამის სტუდენტს შეუძლია მიიღოს ტრანსფერული უნარები და ინტერესის შესაბამისად მოახდინოს თვალსაწიერის გაფართოება. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 6 კრედიტი.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტს ძირითადად გარე (უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტში) და შიდა (ეროვნულ უნივერსიტეტში, ასევე გაუ-ს ფარგლებში) მობილობის ხელშესაწყობად, თუმცა ეს არ გამორიცხავს სტუდენტის ინდივიდუალური ინტერესის დაკმაყოფილების შესაძლებლობას - სტუდენტს პროგრამაში მოცემული თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად 18 კრედიტის დაგროვება შეუძლია:

- გაუ-ს სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლაში განხორციელებული იმავე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
- გაუ-ს სხვა სკოლაში განხორციელებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან;
- საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამა დარგობრივი ინგლისური ენის განსავითარებლად ითვალისწინებს ინგლისურენოვან სასწავლო კურსებს, ძირითადად მაღალ კურსებზე.

### სწავლების ენა

ქართული ენა

### პროგრამის მიზანი

საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და კონცეფციების შესახებ;
- მისცეს საერთაშორისო ურთიერთობების განმაპირობებელი ფაქტორების, გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრობლემების ამოცნობისა და ანალიზის უნარი;
- შეასწავლოს მმართველობისა და პოლიტიკის ძირითად პრინციპები, სახელმწიფოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ორგანიზაციის ფორმები;
- გამოუმუშავოს გლობალური და ეროვნულ პოლიტიკის ანალიზის, გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების უნარი;
- ჩამოუყალიბოს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების სისტემატური თვალყურის მიდევნების, მათთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი;
- შეასწავლოს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები;
- გამოუმუშავოს ინფორმაციის ქართულ და ინგლისურ ენაზე მოძიებისა და ფართო

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი;

- გამოუმუშაოს კვლევით ნაშრომზე მუშაობის უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ჩამოუყალიბოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აღწერილობითი, კრიტიკული, არგუმენტირებული და ანალიტიკურ დოკუმენტების წერის უნარი;
- გამოუმუშაოს დროისა და რესურსების მართვის, ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- გამოუმუშავოს პროფესიული გამბედაობა;
- გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკა და მის ფარგლებში მოქმედების უნარი;
- ჩამოუყალიბოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი, მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობა.

### პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

### დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ სამსახურსა და თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კერძოდ, მას შეუძლია დასაქმდეს საჯარო და დიპლომატიურ სამსახურში, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სხვა.

იგი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

### სწავლის შედეგები

➤ აღწერს:

- საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებსა და კონცეფციებს;
- პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე;
- დიპლომატიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ასპექტებს;
- გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს;
- მმართველობისა და პოლიტიკის ძირითად პრინციპებს;
- სახელმწიფოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ორგანიზაციის ძირითადი ფორმებს;

- ეროვნულ, რეგიონულ, საერთაშორისო და გლობალურ დონეზე არსებულ გარემოსდაცვით პოლიტიკას, გამოწვევებს და მათი მოგვარების არსებული საშუალებებისა და ინსტრუმენტებს;
  - გლობალური, ეროვნული და ლოკალური უსაფრთხოების პრობლემებს და გადაწყვეტის თანამედროვე ტენდენციებს;
- განმარტავს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდებს;
- განსაზღვრავს ახალ მსოფლიო წესრიგში სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ინტეგრაციული წარმონაქმნების როლსა და დანიშნულებას; თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში საქართველოს ადგილს;
- ახორციელებს საერთაშორისო აქტორების ქცევის ინტერპრეტაციასა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასებას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ეფექტურად გამოყენების მეშვეობით;
- ანალიზებს გლობალურ და ეროვნულ პოლიტიკას; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში შეიმუშავებს აღწერილობით, კრიტიკულ, არგუმენტირებულ და ანალიტიკურ დოკუმენტებს;
- ფართო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ახდენს გლობალურ საკითხებთან, პოლიტიკასთან, პროცესებსა და ტენდენციებთან დაკავშირებით, ინტერდისციპლინარული ცოდნისა და კრიტიკული აზროვნების დემონსტრირებას წერილობითი და ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- მოიძიებს ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე (ეფექტურად იყენებს მეორე უცხო ენასაც), აყალიბებს დასკვნებს პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით. ქმნის კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- აფასებს საკუთარ და სხვების შესაძლებლობებს, უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმარებისა და განხორციელების გზით ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს. თვალს ადევნებს მეცნიერულ სიახლეებს და ახდენს ცოდნის მუდმივად განახლებას;
- აქვს ორგანიზაციული უნარი, შეუძლია მიიღოს და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა;
- ცნობს პროფესიული ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ფასეულობების, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

### სწავლება-სწავლის მეთოდები

ლექცია  
  სამუშაო ჯგუფში მუშაობა  
  სემინარი  
  პრაქტიკული მუშაობა  
 საბაკალავრო ნაშრომი  
 სასწავლო პრაქტიკა  
 საშინაო დავალება/რეფერატი  
  
 ესე  
 ელექტრონული რესურსით სწავლება  
 ელექტრონული სწავლება  
 სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

## შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

### პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

#### ხუთი სახის დადებითი შეფასება

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

#### ორი სახის უარყოფითი შეფასება

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც). კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

### პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

#### მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

#### ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები

- [1] აღწერს:
- საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებსა და კონცეფციებს;
  - პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე;
  - დიპლომატიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ასპექტებს;
  - გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს;
  - მმართველობისა და პოლიტიკის ძირითად პრინციპებს;
  - სახელმწიფოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ორგანიზაციის ძირითადი ფორმებს;
  - ეროვნულ, რეგიონულ, საერთაშორისო და გლობალურ დონეზე არსებულ გარემოსდაცვით პოლიტიკას, გამოწვევებს და მათი მოგვარების არსებული საშუალებებსა და ინსტრუმენტებს;
  - გლობალური, ეროვნული და ლოკალური უსაფრთხოების პრობლემებს და გადაწყვეტის თანამედროვე ტენდენციებს;
- [2] განმარტავს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდებს;

**სამიზნე ნიშნული:**

[1] და [2] სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევის შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- საერთაშორისო ურთიერთობების თეორია
- საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი
- უახლესი მსოფლიო პოლიტიკური ისტორია და დიპლომატია
- თანამედროვე პოლიტიკური თეორიები
- საერთაშორისო საჯარო სამართალი
- შედარებითი პოლიტიკა
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- Introduction to Foreign Policy Analysis
- ტრანსფორმაციული პროცესები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში
- ევროკავშირის ინსტიტუტები
- კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოება
- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა
- English composition: expository writing
- Energy Security and Energy Policy
- საქართველოში არსებული კონფლიქტების ანალიზი
- გარემოსდაცვითი პოლიტიკა და მდგრადი განვითარება
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- English composition: persuasive writing
- კულტურათაშორისი ურთიერთობები
- კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში



- [3] განსაზღვრავს ახალ მსოფლიო წესრიგში სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ინტეგრაციული წარმონაქმნების როლსა და დანიშნულებას; თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში საქართველოს ადგილს;

**სამიზნე ნიშნული:**

- განსაზღვრავს მსოფლიო წესრიგში სხვადასხვა სახელმწიფოთა როლსა და დანიშნულებას;
- განსაზღვრავს მსოფლიო წესრიგში სხვადასხვა ინტეგრაციული წარმონაქმნების როლსა და დანიშნულებას;
- განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემაში საქართველოს ადგილს.

**შეფასების მეთოდები/კომპონენტები:** დისკუსია/დებატები, ესე, მოდელირება, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკა.

- [4] ახორციელებს საერთაშორისო აქტორების ქცევის ინტერპრეტაციასა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასებას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ეფექტურად გამოყენების მეშვეობით;

**სამიზნე ნიშნული:**

- ახდენს საერთაშორისო აქტორების ქცევის ინტერპრეტაციას, განსაზღვრავს და აფასებს მათ ქმედებებს;
- ახდენს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასებას;
- მოიძიებს, განმარტავს და იყენებს შესაბამის ინფორმაციას პოლიტიკური მოვლენის შესაფასებლად;
- საგარეო პოლიტიკური მოვლენის შეფასებისას ეფექტურად იყენებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს;
- ასაბუთებს საკუთარ პოზიციას.

**შეფასების მეთოდები/კომპონენტები:** დისკუსია/დებატები, ესე, დოკუმენტის ანალიზი, მოდელირება, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკა.

- [5] აანალიზებს გლობალურ და ეროვნულ პოლიტიკას; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში შეიმუშავებს აღწერილობით, კრიტიკულ, არგუმენტირებულ და ანალიტიკურ დოკუმენტებს;

**სამიზნე ნიშნული:**

- გლობალური პოლიტიკის ანალიზის უნარი;
- ეროვნული პოლიტიკის ანალიზის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- აღწერილობით ესეს შემუშავების უნარი;
- კრიტიკული ესეს შემუშავების უნარი;
- არგუმენტირებულ ესეს შემუშავების უნარი;

- ანალიტიკურ ესეს შემუშავების უნარი.

**შეფასების მეთოდები/კომპონენტები:** დისკუსია/დებატები, ღია კითხვა, აღწერილობითი ესეს, ანალიტიკური ესე, არგუმენტირებული ესე, კრიტიკული ესე, დოკუმენტის ანალიზი, რეფერატი, საშინაო დავალება, მოდელირება, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი.

- [6] ფართო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ახდენს გლობალურ საკითხებთან, პოლიტიკასთან, პროცესებსა და ტენდენციებთან დაკავშირებით, ინტერდისციპლინარული ცოდნისა და კრიტიკული აზროვნების დემონსტრირებას წერილობითი და ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

**სამიზნე ნიშნული:**

- ინფორმაციის წარმოდგენა მსმენელის ინტერესის გათვალისწინებით;
- გლობალურ საკითხებთან, პოლიტიკასთან, პროცესებსა და ტენდენციებთან დაკავშირებით ინტერდისციპლინარული ცოდნის დემონსტრირება;
- არსებული ინფორმაციის და საკუთარი არგუმენტების წარმოდგენა წერილობითი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ;
- არსებული ინფორმაციის და საკუთარი არგუმენტების წარმოდგენა ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ;
- არგუმენტებზე სწრაფი და ადეკვატური რეაგირების უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- განსხვავებული შეხედულებების პატივისცემა;
- ინფორმაციის წარმოდგენისას საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება.

**შეფასების მეთოდები/კომპონენტები:** დისკუსია/დებატები, თეორიული საკითხი, ღია კითხვა ესე, რეფერატი, საშინაო დავალება, მოდელირება, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი.

- [7] მოიძიებს ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე (ეფექტურად იყენებს მეორე უცხო ენასაც), აყალიბებს დასკვნებს პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით. ქმნის კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

**სამიზნე ნიშნული:**

- ინფორმაციის მოძიება მშობლიურ ენაზე;
- ინფორმაციის მოძიება უცხოურ ენაზე;
- ინფორმაციის ანალიზი;
- შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება;
- სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის დაცვა;
- ნაშრომის სტრუქტურა დაცულია;
- თეზისი ნათელი და საკმარისად დაკონკრეტებულია;

არგუმენტები საკმარისადაა განმტკიცებული;  
 გამოყენებულია შესატყვისი ლიტერატურა, ფაქტები და მაგალითები;  
 პრობლემის გადაჭრის გზა შემოთავაზებულია;  
 ეფექტურად საუბრობს მეორე უცხოურ ენაზე (გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური, თურქული)

**შეფასების მეთოდები/კომპონენტები:** ესე, რეფერატი, საშინაო დავალება, მოდელირება, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი.

- [8] აფასებს საკუთარ და სხვების შესაძლებლობებს, უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმარებისა და განხორციელების გზით ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს. თვალს ადევნებს მეცნიერულ სიახლეებს და ახდენს ცოდნის მუდმივად განახლებას;  
**სამიზნე ნიშნული:**

- აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს;
- აფასებს სხვების შესაძლებლობებს;
- აქვს გუნდში მუშაობის უნარი;
- შეუძლია დაგეგმოს უწყვეტი პროფესიული განვითარება;
- შესაბამისად მართავს დროს;
- შესაბამისად მართავს მის ხელთ არსებულ რესურსებს;
- შეუძლია შესაბამისი მეცნიერული სიახლეების მოძიება;
- შეუძლია ცოდნის განახლება.

**შეფასების მეთოდები/კომპონენტები:** შემთხვევის ანალიზი, თეორიული საკითხი, ღია კითხვა, ესე, რეფერატი, საშინაო დავალება, მოდელირება, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი.

- [9] აქვს ორგანიზაციული უნარი, შეუძლია მიიღოს და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა;  
**სამიზნე ნიშნული:**

- სამუშაოს სწორი დაგეგმარება;
- ფუნქციების გადანაწილება;
- ინიციატივის მიღება;
- ინიციატივის განხორციელება;
- საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღება.

**შეფასების მეთოდები/კომპონენტები:** მოდელირება, დოკუმენტის ანალიზი, პრაქტიკა.

➤ [10] ცნობს პროფესიული ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ფასეულობების, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

სამიზნე ნიშნული:

- იცნობს პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებს;
- პატივს სცემს ოპონენტის/მოწინააღმდეგის მოსაზრებებს;
- მოწოდებულია ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების დაცვას და განხორციელებას;
- მოქმედებს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: დისკუსია-დებატები, ანალიტიკური ესე, არგუმენტირებული ესე, აღწერილობითი ესე, მოდელირება, პრაქტიკა.

**სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები**

	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა და შედეგების რუქა;

დანართი 2: სწავლის შედეგების რუქა;

დანართი 3: მიზნებისა და შედეგების რუქა;